ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №5

(იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიებთან გაერთიანებული)

25 იანვარი 2022 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები: ოთარ გრიგოლია,ლევან ჟორჟოლიანი,თორნიკე ბიკაშვილი, ირაკლი ნადირაძე, საბა ბუაძე, ალესანდრე რატიშვილი.
მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე-ლევან მიქავა
სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე- მარიამ კვერნაძე.
ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგემტოს უფროსის მოადგილე- დავით ჯაიანი
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

კომისიის წევრმა ლევან ჟორჟოლიანმა მიმართა კომისიის წევრებს,რომ ქვეყანაში შექმნილი კოვიდსიტუაციიდან გამომდინარე და გამომდინარე იქედან რომ ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად არჩეულ კომისიის წევრს აქვთ დადასტურებული ვირუსი, საჭიროა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის არჩევა და შესთავაზა მათ კანდიდატურის დასახელება.

გამომდინარე იქედან, რომ სამი კომისიის გაერთიანებული სხდომა ტარდება და მათ შორის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაა, ოთარ გრიგოლიამ დააყენა ლევან ჟორჟოლიანის კანდიდატურა, რასაც ხმა მისცა კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა.

გადაწყვიტეს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის 25 იანვრის სხდომას წარუძღვეს ლევან ჟორჟოლიანი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. (15-032202046-03 20.01.2022წ)
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის "თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება - ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის" პროექტის შესახებ საგრანტო ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ (12-032202162-03 21.01.2022წ)
3. ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, უძოს ქუჩა N7-ში მდებარე 40.23 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.06.486.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე
(12-03213624-03 28.12.2021წ)
4. ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N116-ში მდებარე 93.25 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.021.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე
12-03213624-03 28.12.2021წ)

5. ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, უძოს III ჩიხი N2-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.06.466.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე
12-03213624-03 28.12.2021წ)

6. ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში, მე-4 მიკრორაიონის, კორპუს N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.004.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " 12-03213623-03 28.12.2021წ)

7. ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N1-ში, კორპუს N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.024.008.01.034) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " 12-03213623-03 28.12.2021წ)

8. ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, გალაკტიონ ტაბიძის I ჩიხის N4ბ-ში არსებული 102.03 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.19.913.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე(12-03213624-03 28.12.2021წ)

9. ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, სახლი N93-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.008.010.01.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " (12-03213623-03 28.12.2021წ)

10. ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5-ში (საკადასტრო კოდები: N01.12.07.005.009.10.500 და N N01.12.07.005.009.02.500) მდებარეუძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" (12-032220121-03;12-03220135-03 12.01.2021წ)

11. ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.05.885) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.
(12-03213623-03 28.12.2021წ)

12. ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ში, მე-2 მიკრორაიონის კორპუს N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.023.004.01.521) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " (12-03220121-03 12.01.2022წ)

13. ქალაქ თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩა N118-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.01.011.014.01.508 და N01.16.01.011.014.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " (12-032202122-03 21.01.2022წ)

14. ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.069) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.
(12-032202122-03 21.01.2022წ)

15. ქალაქ თბილისში, ვანის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.06.002.026.01.552 და N01.13.06.002.026.01.553) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " (12-032202122-03;12-032202123-03 21.01.2022წ)

16. ქ. თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი N19-ის მიმდებარედ 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.14.009.032) პირდაპირი განკარგვის წესით მარინე ხარატიშვილისთვის (პ/ნ: 01017012993) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე(12-03213625-03 28.12.2021წ)

17. ქ. თბილისში, ემზარ სულაქველიძის ქუჩა N4-ის მიმდებარედ 46 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.07.045.028) პირდაპირი განკარგვის წესით შალვა ჯოხაძისთვის (პ/ნ:45001002521) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. (12-03213625-03 28.12.2021წ)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი პირველი საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ", კომისიის წევრებს წარუდგინა ლევან მიქავამ.

ლევან მიქავას განმარტებით, შესათანხმებლად წარმოდგენილია ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის კვარტალური ცვლილება. კერძოდ „ბიზნესის სტიმულირების" პროგრამაში (პროგრამული კოდი 04 01) პროგრამის ფარგლებში ხელშეკრულებით აყვანილ შტატგარეშე მოსამსახურეთა 2 თვის ხელფასისათვის პირველ კვარტალში სჭირდებათ დამატებით 40 000 ლარი. აღნიშნული გადმოტანა ხდება

ძეორე კვარტლიდან. კვარტალური ცვლილების დაბალანსებას ხდება „თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერის“ პროგრამაში (პროგრამული კოდი 04 08) პირველ კვარტალში არსებული ეკონომიით.

მომხრე-7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური ითხოვს მასზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის me-2 მუხლის მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის “თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება - ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის“ პროექტის შესახებ საგრანტო ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ.

მომხსენებელი - დავით ჯაიანი

დავით ჯაიანმა თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD)შორის ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის გაგრძელების შესახებ საგრანტო ხელშეკრულება წარადგინა და ვრცლად ისაუბრა თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეფორმაზე და მის მიმდინარეობაზე.

მისი განცხადებით, საგრანტო ხელშეკრულება თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის აქციონერთა სპეციალური ფონდის მხარდაჭერით ფორმდება.

როგორც განმცხადებელმა განაცხადა საგრანტო ხელშეკრულების მიზანია, თბილისის მუნიციპალიტეტისათვის ახალი სამარშრუტო ქსელის დანერგვისა და რეფორმის სხვა კომპონენტების მიმართულებით ტექნიკური მხარდაჭერის აღმოჩენა. კერძოდ ქალაქში ავტობუსების მომსახურების რეფორმების განხორციელება, რაც ავტობუსების მარშრუტების რესტრუქტურიზაციას და გაფართოებას, სატარიფო სისტემის რეფორმას,მგზავრობის საფასურის გადახდის ინტეგრირებული ავტომატური სისტემის დანერგვას მოიცავს.

დავით ჯაიანმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულების თანახმად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი თბილისის მუნიციპალიტეტს საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვისათვის 240 000 ევრომდე გრანტს გამოუყოფს.

აზრი გამოთქვა ალრქსანდრე რატიშვილმა. მან დადებითი პოზიცია გამოხატა წარმოდგენილი საკითხის მიმართ და დაინტერესდა , თუ არის შერჩეული საკომსულტაციო კომპანია.

შეკითხვაზე განმარტა დავით ჯაიანმა.

მან აღნიშნა, რომ გრანტის ფარგლებში სატენდერო პროცედურები EBRD-ის მხრიდან დასრულებულია და შერჩეულია ერთ-ერთი წამყვანი ბრიტანული საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა მარიამ კვერნაძემ.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, უძოს ქუჩა N7-ში მდებარე 40.23 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.06.486.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, უძოს ქუჩა N7, სართული 1, ბინა N1-ში მდებარე 40.23 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.06.486.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე სათენიკა გიგაურს (პ/ნ: 12001061266) , რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.
მომხსენებლის განმარტებით, შსს-ს (MIA 5 21 02847871 – 29.10.2021წ.) ცნობით მოქალაქე სათენიკა გიგაური დაახლოებით 45 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, ხოლო მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით დასტურდება, რომ მოქალაქე დაახლოებით 1964 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.
აღნიშნულ პირს სიმბოლურ თანხად - 1 (ერთ) ლარად გადაცემა განკარგულებით წარმოდგენილიმუძრავი ქონება.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N116-ში მდებარე 93.25 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.021.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა, ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N116, 1 სართულზე მდებარე 93.25 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.021.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე ცისკარა მარგველიანის (პ/ნ: 46001004261) საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. მოქალაქე ცისკარა მარგველიანი შსს-ს (MIA 8 19 03505677 – 30.12.2019წ.) ცნობითა და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით დასტურდება, რომ მითითებულ მისამართზე ოჯახთან ერთად 2003 წლიდან ცხოვრობს.
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მოქალაქე ცისკარა მარგველიანის და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, უძოს III ჩიხი N2-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.06.466.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, მთაწმინდის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორიში, იუნკერთა ქუჩა N34, სართული 2-ზე არსებული 67.65 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N81.01.05.498.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე თინათინ გველესიანის (პ/ნ: 12001040991) დაკავშირებით. მოქალაქე თინათინ გველესიანი შსს-ს ცნობებით მ და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით, დაახლოებით 2000 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, თინათინ გველესიანსა და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.
ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ საუსრველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

მომხრე-6 თავი შეიკავა საბა ბუაძემ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში, მე-4 მიკრორაიონის, კორპუს N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.004.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის შუამდგომლობით, ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში, მე-4 მიკრო / რაიონის, კორპუს N21-ში, მე-8 სართულზე მდებარე 55.02 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.004.01.515) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ბადრი ნოვრუზალოვს (პ/ნ 24001004530), რომელიც

შსს-ს ცნობით და მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ შვილთან ერთად 1998 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მოქალაქე ბადრი ნოვრუზალოვის და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N1-ში, კორპუს N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.024.008.01.034) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე, ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N1-ში, კორპუს N7-ში, მეხუთე სართულზე მდებარე 99.40 კვ.მ ფართის ბინა N34-ის (საკადასტრო კოდი: N01.19.23.024.008.01.034) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე თინათინ მაღრაძეს (პ/ნ 56001004619) , რომელიც შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნულ მისამართზე მშობლებთან ერთად ცხოვრობს 1991 წლიდან, ხოლო თავისი ოჯახით 2003 წლიდან.
მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მოქალაქე თინათინ მაღრაძის და მისი ოჯახის წევრებზე თბილისში სასაკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, გალაკტიონ ტაბიძის I ჩიხის N4ბ-ში არსებული 102.03 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.19.913.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, მთაწმინდის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, გალაკტიონ ტაბიძის I ჩიხის N4ბ, 1 სართულზე მდებარე 102.03 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N81.01.19.913.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ჰერა თომბულოვას (პ/ნ: 12001057957) , რომელიც შსს-ს ცნობით დაახლოებით 1960 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, ხოლო მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით დასტურდება, რომ მოქალაქე ჰერა თომბულოვა 1990 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.
მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ჰერა თომბულოვას საკუთრების უფლება რეგისტრირებულია ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 814 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, სახლი N93-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.008.010.01.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე, ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, სახლი N93-ში, მეორე სართულზე მდებარე 34.40 კვ.მ ფართი ბინა N5-ი (საკადასტრო კოდი: N01.19.25.008.010.01.005) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ზურაბ იაშვილს (პ/ნ 20001012537). შსს-ს ცნობით, მოწმეების ჩვენებით და გამგეობის შემოწმების აქტით დგინდება რომ ზურაბ იაშვილი ოჯახთან ერთად 2004 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მოქალაქე ზურაბ იაშვილზე და მისი ოჯახის წევრებზე თბილისში სასაკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5-ში (საკადასტრო კოდები: N01.12.07.005.009.10.500 და N N01.12.07.005.009.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ნაძალადევის რაიონის გამგეობის წერილით დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5-ში, პირველ სართულზე მდებარე 41.99 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.12.07.005.009.10.500) და 29.65 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.12.07.005.009.02.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე მარინა მითაგვარიასთვის (პ/ნ 01019056696) საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ მარინა მითაგვარია ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 1997 წლიდან.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.05.885) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, მთაწმინდის რაიონის შუამდგომლობის საფუძველზე, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.05.885) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრბაში გადაეცემა 2 პირს, (2 ოჯახს). გიორგი ჯვარიძეს (პ/ნ 12001009144) დაკავებული ფართი - 65.77 კვ.მ; გურამ ჯვარიძეს (პ/ნ 47001015975) - დაკავებული ფართი - 134.03 კვ.მ და 43.36 კვ.მ

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შსს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ გიორგი ჯვარიძე და გურამი ჯვარიძე მითითებულ მისამართზე ცხოვრობენ 2000 წლიდან.

მომხრე-6 თავი შეიკავა საბა ბუაძემ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ში, მე-2 მიკრორაიონის კორპუს N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.023.004.01.521) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, სამგორის რაიონის გამგეობის გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის 3-ში, მე-2 მიკრო / რაიონის, კორპუს N14-ში, პირველ სართულზე მდებარე 69.17 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (საკადასტრო კოდი:N01.19.39.023.004.01.521) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მაკა ხოხონიშვილს (პ/ნ 40001002865),რომელიც შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნულ მისამართზე მეუღლესთან და 10 შვილთან ერთად ცხოვრობს 2013 წლიდან.

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მოქალაქე მაკა ხოხონიშვილის და მისი ოჯახის წევრებზე თბილისში სასაკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩა N118-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.01.011.014.01.508 და N01.16.01.011.014.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"

მარიამ კვერნაძის მოხსენებით ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე ქალაქ თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩა N118-ში, მეორე სართულზე მდებარე 31.04 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: 01.16.01.011.014.01.508) და 2.22 დამხმარე ფართი (საკადასტრო კოდი: 01.16.01.011.014.01.515) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მაყვალა ღლონტს (პ/ნ 33001005574), რომელიც შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 1997-1998 წლებიდან.
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მოქალაქე მაყვალა ღლონტზე და მისი ოჯახის წევრებზე თბილისში სასაკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.069) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, სამგორის რაიონის გამგეობის წერილებიტ დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.069) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.
წარმოდგენილი პროექტის თანახმად, 5 პირს (5 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემათ მათ მიერ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართები კერძოდ: ნინო უნდილაია (პ/ნ 42001014492) დაკავებული ფართი - 16.71 კვ.მ; მადონა სუქნიძე (პ/ნ 18001007203) დაკავებული ფართი - 39.63 კვ.მ და 22.89 კვ.მ; მადლენა ჭოჭუა (პ/ნ 58001001781) დაკავებული ფართი -12.88 კვ.მ; ინეზა ორჯონიკიძე (პ/ნ 58001004723) დაკავებული ფართი - 14.73 კვ.მ; სოფიო უჯარაშვილი (პ/ნ 31001007453) დაკავებული ფართი - 24.01 კვ.მ

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ ზემოაღნიშნული პირები 1999- 2003 წლებიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.
როგორც მარიამ კვერნაძემ განმარტა, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, აღნიშნულ პირებზე თბილისში სასაკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვანის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.06.002.026.01.552 და N01.13.06.002.026.01.553) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, დიდუბის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე, ქალაქ თბილისში, ვანის ქუჩა N15-ში, პირველ სართულზე მდებარე 14.07 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.13.06.002.026.01.552), და მესამე სართულზე მდებარე 13.78 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.13.06.002.026.01.553) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე თემური ყურაშვილს(პ/ნ 39001033312), რომელიც შსს ცნობით და მოწმეების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით დგინდება, რომ თემური ყურაშვილი მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 15 წელია.
მომხსენებელმა განმარტა, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, აღნიშნულ პირზე თბილისში სასაკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი N19-ის მიმდებარედ 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.14.009.032) პირდაპირი განკარგვის წესით მარინე ხარატიშვილისთვის (პ/ნ: 01017012993) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, მარინე ხარატიშვილს (პ/ნ: 01017012993) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გდაეცემა ქ. თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი N19-ის მიმდებარედ 10 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.10.14.009.032).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მარინე ხარატიშვილის საკუთრებაშია ქ. თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი N19ა-ს მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: 01.10.14.009.006.01.016) არსებული უძრავი ქონება.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს მოწყობასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ეცნობა, რომ წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით (ორთოფოტოზე მონიშნული საიჯარო ტერიტორიის და არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალის) მიხედვით შესაძლებელია ქ. თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი N19ა-ს მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: 01.10.14.009.006) ღია კაფეს მოწყობა, იმ პირობით თუ დაცული იქნება „ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1 800 ლარით.

იჯარის მოქმედების ვადად განსაზღვრულია 5 წელი.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ემზარ სულაქველიძის ქუჩა N4-ის მიმდებარედ 46 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.07.045.028) პირდაპირი განკარგვის წესით შალვა ჯოხაძისთვის (პ/ნ:45001002521) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, შალვა ჯოხაძეს (პ/ნ:45001002521) ,სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. ქ. თბილისში, ემზარ სულაქველიძის ქუჩა N4-ის მიმდებარედ 46 კვ.მ მიწის ნაკვეეთი (საკადასტრო კოდი: 01.17.07.045.028). საჯარო რეესტრიდან წარმოდგენილი ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული ფიზიკური პირის საკუთრებაშია ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, მე-4 მიკრო/რაიონი, საზკვების გაერთიანება N23, კაფე „ვაზისუბნის" მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: 01.17.07.045.003) არსებული უძრავი ქონება.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს მოწყობასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ეცნობა, რომ წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით (ორთოფოტოზე მონიშნული საიჯარო ტერიტორიის და არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალის) მიხედვით შესაძლებელია ქ. თბილისში, ემზარ სულაქველიძის ქუჩა N4-ის მიმდებარედ 46 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.17.07.045.028) ღია კაფეს მოწყობა, იმ პირობით თუ დაცული იქნება „ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები და ასევე, შშმ პირთა ტექნიკური რეგლამენტი -„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" ნორმები და მოთხოვნები.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, საორიენტაციოდ განისაზღვრა 4 416 ლარით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, განიხილება შალვა ჯოხაძისთვის ემზარ სულაქველიძის ქუჩა N4-ის მიმდებარედ 46 კვ.მ მიწის ნაკვეეთის, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი 5 წლის ვადით, ხოლო საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება 4 420 ლარი.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ლევან ჟორჟოლიანი